



**“ახალი ბიოლოგიური მარკერების კვლევის ეროვნული პლატფორმა გულის
უკმარისობის პროგნოზის ოპტიმიზაციისათვის”
პროექტის I პერიოდის შუალედური ანგარიში - 2024**

ელექტრონული სახელმძღვანელო

**გულის უკმარისობის ახალი ბიოლოგიური მარკერების კვლევის
მეთოდების სამეცნიერო საფუძვლები**

მონაწილეობა: ა(ა)იპ ჯანდაცვის ინოვაციებისა და იმპლემენტაციის კვლევითი პლატფორმა;

დანიშნულება: პროექტის შედეგის უზრუნველყოფა.

შესავალი

გულის უკმარისობა (გუ) არის გულსისხლძარღვთა სისტემის მზარდი პრევალენტობის დაავადებაა მაღალი სიკვდილიანობის მაჩვენებლებით. გუ ასოცირდება სხვადასხვა გართულებებთან, როგორცაა ჰოსპიტალიზაცია, დაავადების პროგრესირების დროს ლეტალური არითმია და სიკვდილი, ა. შ. გარდა ამისა, ის შეიძლება იყოს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, მათ შორის მიოკარდიუმის ინფარქტის, გულის სარქლოვანი დაავადებების და სხვადასხვა კარდიომიოპათიების ტერმინალური მდგომარეობის შემდგომ განვითარებული¹. აღსანიშნავია, რომ გუ-ით პაციენტებს ხშირად აღენიშნებათ დეკომპენსაცია და ვითარდება თანმხლები დაავადებები, როგორცაა მაგ. ქრონიკული თრკმლის უკმარისობა, სხვ².

გუ-ის ეპიდემიოლოგია იყო მუდმივი ინტერესის საგანი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იგი დასახელდა როგორც ახალი ეპიდემია 1997 წელს³. გულის უკმარისობის გავრცელება მერყეობს მოსახლეობის დემოგრაფიისა და შემადგენლობის (მათ შორის ასაკის, თანმხლები დაავადებების, სქესის, რასის და ეთნიკური წარმომავლობის) განსხვავებების მიხედვით. 45 წლის (ასაკი) შემდეგ გუ-ს ინციდენტობა შეადგენდა 6.0 ყოველ 1000 ადამიანზე წელიწადში. 65 წლის ზემოთ ინციდენტობა იყო გაცილებით მაღალი 21 ტოვებ 1000 მოსახლეზე წელიწადში (ეს მონაცემები გამოქვეყნებული იყოს CHS კვლევის საფუძველზე (1989-2004) და 26.5 1000 მოსახლეზე 2016 წლის მონაცემებით^{4 5}.

¹ Hong-Mi Choi, Myung-Soo Park, and Jong-Chan Youn. Update on heart failure management and future directions Korean J Intern Med. 2019 July; 34(4): 944

² Yukiteru Nakayama, Katsuhito Fujiu, Tsukasa Oshima at. Heart failure promotes multimorbidity through innate immune memory. Science Immunology Vol. 9, No. 95

³ Braunwald E. Shattuck lecture—cardiovascular medicine at the turn of the millennium: triumphs, concerns, and opportunities. N Engl J Med. 1997; 337: 1360–1369

⁴ Huffman, MD · Berry, JD · Ning, H ... Lifetime risk for heart failure among White and Black Americans: cardiovascular lifetime risk pooling project J Am Coll Cardiol. 2013; 61:1510-1517

⁵ Khera, R · Kondamudi, N · Zhong, L. Temporal trends in heart failure incidence among Medicare beneficiaries across risk factor strata, 2011 to 2016 JAMA Netw Open. 2020; 3, e2022190



**“ახალი ბიოლოგიური მარკერების კვლევის ეროვნული პლათფორმა გულის
უკმარისობის პროგნოზის ოპტიმიზაციისათვის”
პროექტის I პერიოდის შუალედური ანგარიში - 2024**

2019 წლის მონაცემებით დაფიქსირებულია გულის უკმარისობის დაახლოებით 56,19 მილიონი შემთხვევა⁶. ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ტენდენციები გულის უკმარისობის დიაგნოსტიკის ახალგაზრდებში, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს სიმსუქნესთან⁷. ასევე მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მომავალში გულის უკმარისობით პაციენტები შეიძლება გაიზარდოს დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში. ჰოსპიტალში ჩანაწერების მიხედვით ვერ ხერხდება გულის უკმარისობის ყველა შემთხვევის დაფიქსირება, რადგან უფრო ხშირად ასეთი პაციენტები მიმართავენ ამბულატორიულ სერვისს⁸.

ასაკის მატებასთან ერთად გუ-ის პრევალენტობა იზრდება. 2030 წლისთვის, სავარაუდოდ, ეს რიცხვი გაიზრდება 8 მილიონით⁹. გუ დაიგნოზის დასმის შემდეგ, სიკვდილიანობის რისკი მაღალია - 50% 5 წლის განმავლობაში ილუპება, ხოლო 90% კი ილუპება 10 წლის განმავლობაში.

გქუ არ წარმოადგენს დაავადებას, არამედ წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს, რომელიც მოიცავს სტრუქტურულ, ფუნქციურ და ბიოქიმიურ დარღვევებს, რაც ხელს უწყობს მისი დიაგნოზისა და მართვის სირთულეს.

ბიომარკერების როლი გულის ქრონიკული უკმარისობის დროს

შემდგომ თავებში დეტალურად აღწერილი იქნება ბიოლოგიური მარკერების პროგნოზული პოტენციალის შეფასება განსხვავებული გენეზის გულის უკმარისობის შესაძლო მექანიზმების წარმოდგენისათვის.

მეცნიერთა მთელი ძალისხმევა მიმართულია გულის ქრონიკული უკმარისობის (გქუ) დიაგნოსტიკის ახალი და პერსპექტიული მარკერების ძიებაზე. უკვე არსებული კვლევის მეთოდები (მაგ: დოპლერ-ექოკარდიოგრაფია, რენტგენოგრაფია, მიოკარდის ემისიური ტომოგრაფია, სპირომეტრია) ყოველთვის არ არის ინფორმაციული, განსაკუთრებით მარცხენა პარკუჭის შენარჩუნებული განდევნის ფრაქციის მქონე ან ასიმპტომურად მიმდინარე სისტოლური დისფუნქციის მქონე პაციენტებში. მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გქუ-ს კლინიკური გამოვლინებები არასაკმარისად სპეციფიურია, ხოლო ექოკარდიოგრაფიული კვლევით ყოველთვის არ ხერხდება დაავადების დამდინარეების და /ან პროგნოზისთვის ღირებული ცვლილებების გამოვლენა.

⁶ Yan T, Zhu S, Yin X, et al. Burden, trends, and inequalities of heart failure globally, 1990 to 2019: a secondary analysis based on the Global Burden of Disease 2019 study. J Am Heart Assoc 2023;12: e027852

⁷ Amy Groenewegen, Frans H Rutten, et al. Epidemiology of heart failure. Eur J Heart Fail. 2020 Jun 1;22(8):1342–1356

⁸ Ezekowitz JA, Kaul P, Bakal JA, Quan H, McAlister FA. Trends in heart failure care: has the incident diagnosis of heart failure shifted from the hospital to the emergency department and outpatient clinics? Eur J Heart Fail 2011; 13:142–147



**“ახალი ბიოლოგიური მარკერების კვლევის ეროვნული პლათფორმა გულის
უკმარისობის პროგნოზის ოპტიმიზაციისათვის”
პროექტის I პერიოდის შუალედური ანგარიში - 2024**

ალტერნატიულ დიაგნოსტიკურ მიდგომას წარმოადგენს ბიომარკერების კვლევა, რომელთა შორის გქუ-ს დროს მნიშვნელოვანია ნატრიურული პეპტიდები, ხსნადი ST2 რეცეპტორი, MPO, კოპეპტინი, გალექტინი-3 და სხვა. გუ-ის დიაგნოსტიკისა და პროგნოზის გაუმჯობესების მიზნით, ბოლო წლებში დიდი ყურადღება დაეთმო ბიომარკერების შესწავლას. ამ მიმოხილვაში განვიხილავთ ბიომარკერების MPO (myeloperoxidase), ST2 (suppressor of tumorigenicity BNP-ს), BNP (brain natriuretic peptide) როლს გქუ-ს დიაგნოსტიკასა და პროგნოზირებაში. მსოფლიოში მილიონობით ადამიანთან დიაგნოსტიკდება გქუ, რაც პირდაპირ კავშირშია ამ ჯგუფის პაციენტებში სიკვდილობის ზრდასთან.

რამოდენიმე ნოვატორული ნაშრომებით ათწლეულების წინ გულის უკმარისობის ბიომარკერების ტესტირებაზე მუშობა დაიწყო Braunwald et al. ჯგუფმა¹⁰.

ამავე პერიოდში გამოქვეყნებული სხვა შრომებზე დაყრდნობით მეცნიერებმა (Ibrahim and Januzzi) აღწერეს გულის უკმარისობის დროს გამოყენებული ბიომარკერებისთვის წაყენებული მოთხოვნები, რომელიც ხაზს უსვამდა მათ სიზუსტეს, ხელმისაწვდომობას, ხარჯების ეფექტურობის მნიშვნელობას და დაავადების შესახებ სპეციფიკური ინფორმაციის შეთავაზების შესაძლებლობას დაავადების დიაგნოსტიკაში, რომლებიც დაეხმარებოდა კლინიკისტებს მისი რისკების განსაზღვრაში, სტრატეგიკაციასა და მართვაში^{11 12}.

ბიომარკერები, რომლებიც გვევლინება როგორც ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესების გაზომვის ინდიკატორი, გახდნენ პერსპექტიული ინსტრუმენტები გულის უკმარისობის ადრეული გამოვლენისა და პროგნოზირებისთვის. ბიომარკერებმა უდავოდ შეცვალეს გუ-ის დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ფართოდ გამოყენებულ ბიომარკერებს შორის BNP და NT-proBNP წარმოადგენენ კარდიოსპეციფიკურ მარკერებს, რომელიც გამოიყენება გუ-ს დიაგნოსტიკისთვის, რისკების სტრატეგიკაციასა და პროგნოზული შეფასებით¹³. ბევრი კვლევებით დადასტურებულია, რომ BNP სხვა მრავალ ბიომარკერს შორის წარმოადგენს ოქროს სტანდარტს, რომელიც ყველაზე მეტადაა შესწავლილია გუ-ს დროს მრავალი წლის განმავლობაში. კლინიკურ პრაქტიკაში მისმა დანერგვამ განაპირობა გუ-ს დროს უკეთესი შედეგების მისაღებად დროულ და ადრეულ ეტაპზე დაწყებული მკურნალობის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, ახალი და ზუსტი ბიომარკერების ძიება გრძელდება. მიმდინარე კვლევებმა აღმოაჩინა სხვადასხვა პოტენციური ბიომარკერები, მათ შორის გალექტინ-3,

¹⁰ Braunwald E, Harrison DC, Chidsey CA. The heart as an endocrine organ. Am J Med 1964;36: 1–4

¹¹ Sudoh T, Kangawa K, Minamino N, Matsuo H. A new natriuretic peptide in porcine brain. Nature 1988; 332:78–81

¹² Moza A Alzaabi, Amin Abdelsalam, Majid Alhammadi, Hasan Bani Hani, Ali Almheiri, Nadya Al Matrooshi, Khaled Al Zaman, Evaluating Biomarkers as Tools for Early Detection and Prognosis of Heart Failure: A Comprehensive Review, Cardiac Failure Review 2024; 10: e06

¹³ Castiglione V, Aimo A, Vergaro G, et al. Biomarkers for the diagnosis and management of heart failure. Heart Fail Rev 2022; 27:625–43

**“ახალი ბიოლოგიური მარკერების კვლევის ეროვნული პლატფორმა გულის
უკმარისობის პროგნოზის ოპტიმიზაციისათვის”
პროექტის I პერიოდის შუალედური ანგარიში - 2024**



ხსნადი ST2 და ზრდის ფაქტორი 15¹⁴ 15. ახალ ბიომარკერებზე მუშაობა გრძელდება, რომელიც მიმართულია გუ-ით პაციენტის გამოსავლის გასაუმჯობესებლად და ამ დაავადების ტვირთის შესამცირებლად ჯანდაცვის სისტემებისთვის.

**მიოლოპეროქსიდაზა (MPO), მისი როლი გულის ქრონიკულ უკმარისობის
განვითარებაში**

მიოლოპეროქსიდაზა (MPO) წარმოადგენს მნიშვნელოვან ბიომარკერს, რომელიც ასოცირდება გულის ქრონიკული უკმარისობის განვითარებასთან და პროგნოზირებასთან. MPO-ს როლი გულის დაავადებების მექანიზმებში, როგორც ანთების და ჟანგვითი სტრესის ინიციაციის, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონირებაზე. MPO-ის დონის გაზრდა ასოცირდება გუ-ს უფრო მძიმე ფორმებთან. არსებობს მრავალი ლიტერატურა, რომელიც ადასტურებს მის როლზე კარდიოვასკულური რისკის შეფასებაში¹⁶

MPO ასევე ხელს უწყობს მრავალი ქრონიკული ანთებითი დაავადების განვითარებას, ისეთების როგორიცაა რევმატოიდული ართრიტი, თირკმელების ქრონიკული დაავადება¹⁷, მეტაბოლური სინდრომი, ა. შ.¹⁸

მიოლოპეროქსიდაზა წარმოიქმნება ნეიტროფილების, მონოციტების და ენდოთელური უჯრედების მიერ ანთების და ჟანგვითი სტრესის შედეგად. იგი არის ჰემის შემცველი ცილა და პროანთებითი ფერმენტი, რომელიც ძირითადად ექსპრესირდება ნეიტროფილებში მიელოიდური უჯრედების დიფერენცირების დროს ძვლის ტვინში. მიოლოპეროქსიდაზა, როგორც ნეიტროფილის ძირითადი ცილა, შეადგენს მისი მშრალი მასის 5 %-ს. პირველად იგი როგორც ფერმენტულად აქტიური აღმოჩენილი იქნა ადამიანის ათერომაში. მისი აქტიური ფორმა მონაწილეობს ROS გამომუშავებაში და ბიოლოგიური მასალის ოქსიდაციაში. იგი იწვევს ქსოვილების დაზიანებას ანთი-პათოგენური აქტივობის გამო¹⁹ მიოლოპეროქსიდაზა და მისი რეაქტიული ოქსიდანტები ჩართული როგორც ქსოვილების დაზიანების ხელშემწყობი

¹⁴ Sudoh T, Kangawa K, Minamino N, Matsuo H. A new natriuretic peptide in porcine brain. Nature 1988; 332: 78–81

¹⁵ Castiglione V, Aimo A, Vergaro G, et al. Biomarkers for the diagnosis and management of heart failure. Heart Fail Rev 2022; 27: 625–43

¹⁶ Amirfakhryan, Hamideh; New, Karl James. The role of myeloperoxidase as a biomarker in atherosclerotic cardiovascular disease. Cardiology Plus 9(3):p 195-209, July-September 2024

¹⁷ Scott E. Janus, Jamal Hajjari, Tarek Chami at all. Myeloperoxidase is Independently Associated with Incident Heart Failure in Patients with Coronary Artery Disease and Kidney Disease. Current Problems in Cardiology. Volume 47, Issue 11, November 2022, 101080

¹⁸ Arnhold J. The dual role of myeloperoxidase in immune response. Int J Mol Sci 2020;21(21): 8057

¹⁹ Van der Veen BS, de Winther MP, Heeringa P. Myeloperoxidase: molecular mechanisms of action and their relevance to human health and disease. Antioxid Redox Signal 2009;11(11):2899–2937

**“ახალი ბიოლოგიური მარკერების კვლევის ეროვნული პლათფორმა გულის
უკმარისობის პროგნოზის ოპტიმიზაციისათვის”
პროექტის I პერიოდის შუალედური ანგარიში - 2024**



ანთებითი დარვევების დროს²⁰. MPO-ს დონის მატება ფართოდ არის დაკავშირებული ოქსიდაციური სტრესის და ანთების პირობებთან. ბოლოდროინდელმა რამდენიმე კვლევამ აჩვენა ძლიერი კორელაცია MPO-სა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებას შორის; მოცირკულირე MPO-ს მაღალი დონე დაკავშირებულია კვდ ცუდ პროგნოზთან (სიკვდილიანობის გაზრდილ რისკთან). შესაბამისად, MPO ითვლება "მაღალი რისკის" ბიომარკერად მწვავე კორონარული სინდრომის, ათეროსკლეროზის, გულის უკმარისობის, ჰიპერტენზიის და ინსულტის მქონე პაციენტებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევების უმეტესობამ დაადგინა კავშირი MPO-სა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებას შორის, მექანიზმები რომლითაც MPO ახდენს თავის „მავნე“ ზემოქმედებას გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის დროს დღემდე გაურკვეველია²¹.

ყველა ანთებითი ბიომარკერებს შორის, MPO არის ერთ-ერთი ანთების ბიომარკერი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს გულის უკმარისობის პროგნოზირებაში, დიაგნოსტიკასა და მართვაში. მიელოპეროქსიდაზას (MPO) საწყისი იდენტიფიკაცია მოხდა ქიმიურ რეაქციებზე ემპირიული დაკვირვებით. იგი წარმოადგენს რკინის შემცველი პროტეინს, რომელიც სუფთა ფორმით გამოყოფილ იქნა 1941 წელს²². მისმა მწვანე ფერმა და პეროქსიდაზას აქტივობამ მოუტანა ამ ფერმენტს ვეროქსიპეროქსიდაზას სახელი (Agner, K. 1941). ფერმენტის ამ დასახელებამ დროს ვერ გაუძლო. სახელწოდება მიელოპეროქსიდაზა შემოთავაზებული იქნა მეცნიერ თეორელის მიერ 1943 წელს და მოგვიანებით პირველად გამოიყენა სტატიაში „Methods in Enzymology“, რომელიც ეძღვნებოდა MPO-ს²³.

მისი სინთეზი იწყებოდა ძვლის ტვინში მიელოიდური დიფერენციაციის დროს და სრულდებოდა გრანულოციტში მისი ცირკულაციაში გადასვლამდე²⁴. ის მიეკუთვნება პეროქსიდაზების ოჯახს, რომელიც გამომუშავდება იმუნური უჯრედების, როგორცაა პოლიმორფონუკლეალური ლეიკოციტების (ნეიტროფილები) და ლიმფოციტების, მონოციტებისა და მაკროფაგების, ასევე ორგანიზმის სხვა უჯრედების მიერ. MPO მდებარეობს აზუროფილური გრანულების ციტოპლაზმურ მემბრანაში და სტიმულაციის დროს, დეგრანულაციის ან ეგზოციტოზი შედეგად გამოთავისუფლდება ექსტრაცელულურ

²⁰ Zhang R, Shen Z, Nauseef WM, et al. Defects in leukocyte-mediated initiation of lipid peroxidation in plasma as studied in myeloperoxidase-deficient subjects: systematic identification of multiple endogenous diffusible substrates for myeloperoxidase in plasma. *Blood* 2002; 99 (5): 1802–1810

²¹ Ramachandra CJA, Ja KPM, Chua J, Cong S, Shim W, Hausenloy DJ. Myeloperoxidase As a Multifaceted Target for Cardiovascular Protection. *Antioxid Redox Signal*. 2020 May 20; 32(15):1135–1149

²² K. Agner, Verdoperoxidase In *Advances in Enzymology and Related Areas of Molecular Biology* (1943), pp. 137 148

²³ A.C. Maehly MYELOPEROXIDASE. *Methods in Enzymology*, 2 (1955), pp. 794-801

²⁴ Stankovic S, Majkic-Singh N. "Myeloperoxidase: new roles for an old molecule. " *J Med Biochem*, 30: 230–236, 2011



**“ახალი ბიოლოგიური მარკერების კვლევის ეროვნული პლათფორმა გულის
უკმარისობის პროგნოზის ოპტიმიზაციისათვის”
პროექტის I პერიოდის შუალედური ანგარიში - 2024**

სივრცეში²⁵. აღმოჩენიდან მალევე მეცნიერ აგნერის მიერ ნანახი იქნა, რომ ფერმენტი გაქრა
ლეიკოციტიდან მძიმე ინფექციის დროს²⁶. მისი ფუნქციური როლი ნეიტროფილების
მეშვეობით ბაქტერიების განადგურებაში მიეკუთვნება მკვლევარ კლებანოფს²⁷.

კვლევებით დადასტურდა, რომ ოქსიდაციურ სტრესს დიდი მნიშვნელობა ენიჭება
უჯრედიდან MPO-ს გამოთავისუფლებაში.

ნეიტროფილების ანტიმიკრობული ეფექტი MPO-ს გარდა განპირობებულია სხვადასხვა
პროტეინებითა და ენზიმებით. ყველა ამ ანტიმიკრობულ აგენტებს შორის MPO შემცველობა
ყველაზე მეტია, რაც წარმოადგენს ნეიტროფილების მშრალი წონის 5% და აზუროფილური
გრანულების პროტეინების 25 %²⁸. ნორმაში ნეიტროფილები განიცდიან დეგრანულაციას
ინფექციის საპასუხოდ და ხელს უწყობენ დაავადებისგან განკურნების პროცესს, მაგრამ
აქტივირებული ნეიტროფილებიდან MPO-ს ნებისმიერი სხვა უჩვეულო გამოთავისუფლება
იწვევს ანთებასა და ქსოვილების დაზიანებას და შეუძლიათ გამოიწვიონ სხვა დაავადებები,
მათ შორის ინფექციის არარსებობის პირობებშიც²⁹.

MPO თავისი პეროქსიდაციული და ქლორინული აქტივობის გამო წარმოქმნის ჟანგბადის
რეაქტიულ ნაწარმებსა და თავისუფალ რადიკალებს. ის ერთადერთი პეროქსიდაზაა,
რომელიც იწვევს ქლორიდის ოქსიდაციას HOCl-ში H₂O₂ მოხმარების შედეგად. HOCl ჭარბი
რაოდენობით გამოყოფა ზოგიერთ პათოლოგიურ მდგომარეობაში იწვევს პროტეინებისა
და/ან დნმ-ს ოქსიდაციურ დაზიანებას.

გულის უკმარისობა მსოფლიოში წანყვან ადგილს იკავებს ავადობისა და სიკვდილიანობის
მხრივ, რაც 65 წლის და მეტი ასაკის ადამიანებში ჰოსპიტალიზაციის ყველაზე ხშირი
მიზეზია³⁰.

²⁵ Lacy P. " Mechanism of degranulation in neutrophils. " Allergy Asthma Clin. Immunol. 2006, 2, 98–108

²⁶ Detoxicating effect of verdoperoxidase on toxins Nature, 159 (4034) (1947), p. 271

²⁷ S.J. Klebanoff Myeloperoxidase: contribution to the microbicidal activity of intact leukocytes Science, 169 (3950) (1970), pp. 1095-1097

²⁸ Segal A. W. "How neutrophils kill microbes." Annu. Rev. Immunol. 2005, 23, 197– 223

²⁹ Panasencko O.M, Gorudko I.V, Sokolov A.V. " Hypochlorous acid as a precursor of free radicals in living systems. " Biochemistry. 2013, 78, 1466–1489

³⁰ Leah Rethy, Megan McCabe, Lindsay R. Pool at al. Contemporary Rates of Hospitalization for Heart Failure in Young and Middle-Aged Adults in a Diverse US State. Circulation: Cardiovascular Quality and Outcomes. 2020. Volume 13, Number.



**“ახალი ბიოლოგიური მარკერების კვლევის ეროვნული პლათფორმა გულის
უკმარისობის პროგნოზის ოპტიმიზაციისათვის”
პროექტის I პერიოდის შუალედური ანგარიში - 2024**

მსოფლიოში მეცნიერებების მიერ მრავალი კვლევა ტარდება დაავადების სიმძიმისა და პროგრესირების მარკერების განსაზღვრის მიზნით, რათა უკეთ მოხდეს გუ მქონე პაციენტთა კონტროლი^{31 32}.

გულის უკმარისობის ბიომარკერების გამოყენება კლინიკურ კვლევებში ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ გაიზარდა. როგორც ცნობილია MPO-ს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ათეროსკლეროზის განვითარებაში³³. იგი გვხვდება ყველგან, სადაცაა ათეროსკლეროზული დაზიანებები და თავის მხრივ ხელს უწყობს დაავადების პტოგრესირებას, პირველ რიგში დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დაჟანგვის გზით³⁴.

ამ ფერმენტს გააჩნია ასევე გულმკერდის არეში ტკივილით პაციენტებში პროგნოზული მნიშვნელობა^{35 36}. რამოდენიმე კვლევამ უჩვენა მისი პირდაპირი კავშირი ენდოთელიუმის დისფუნქციასთან NO-ზე ზემოქმედებით^{37 38 39}. ასევე მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის დროს

³¹ McMurray JJ, Pfeffer MA. "The year in heart failure. " J Am Coll Cardiol, 2004; 44:2398–405

³² Garty M, Shotan A, Gottlieb S, et al. "The management, early and one year outcome in hospitalized patients with heart failure: a national Heart Failure Survey in Israel – HFSIS 2003. " IMAJ, 2007; 9: 227–33

³³ Frangie C, Daher J. Role of myeloperoxidase in inflammation and atherosclerosis (Review). Biomed Rep. 2022 Jun;16(6):53

³⁴ Frangie C, Daher J. Role of myeloperoxidase in inflammation and atherosclerosis (Review). Biomed Rep. 2022 Jun;16(6):53

³⁵ Brennan ML, Penn MS, Van Lente F, Nambi V, Shishehbor MH, Aviles RJ, Goormastic M, Pepoy ML, McErlean ES, Topol EJ, Nissen SE, Hazen SL. Prognostic value of myeloperoxidase in patients with chest pain. N Engl J Med. 2003 Oct 23;349(17):1595-604

³⁶ Yu Jia, Dongze Li, Jing Yujing Yu at al. Prognostic value of interleukin-33, sST2, myeloperoxidase, and matrix metalloproteinase-9 in acute aortic dissection. Front. Cardiovasc. Med., 06 January 2023 Sec. Intensive Care Cardiovascular Medicine Volume 9 - 2022 | <https://doi.org/10.3389/fcvm.2022.1084321>

³⁷ Celine L. Hartman and David A. Ford. MPO (Myeloperoxidase) Caused Endothelial Dysfunction: Not So Positive It Is About the Bleach, It May Be a Fatal Attraction. Arteriosclerosis, Thrombosis, and Vascular Biology. 2015. Volume 38, Number 8

³⁸ Cheng D, Talib J, Stanley CP, Rashid I, Michaëlsson E, Lindstedt EL, Croft KD, Kettle AJ, Maghazal GJ, Stocker R. Inhibition of MPO (Myeloperoxidase) Attenuates Endothelial Dysfunction in Mouse Models of Vascular Inflammation and Atherosclerosis. Arterioscler Thromb Vasc Biol. 2019 Jul;39(7):1448-1457

³⁹ Simon Geissen, Simon Braumann, Joana Adler at al. Inhibition of myeloperoxidase to treat left ventricular dysfunction in non-ischaemic cardiomyopathy. European journal of Heart Failure. 30 August 2024. <https://doi.org/10.1002/ehjhf.3435>

**“ახალი ბიოლოგიური მარკერების კვლევის ეროვნული პლათფორმა გულის
უკმარისობის პროგნოზის ოპტიმიზაციისათვის”
პროექტის I პერიოდის შუალედური ანგარიში - 2024**



MPO გამოიყოფოდა ნეკროზულ უბანზე ინფილტრირებული ლეიკოციტებიდან და იწვევდა პარკუჭის რემოდელირებას^{40 41 42}.

MPO უკავშირდება რა ენდოთელურ უჯრედებსა⁴³ და მატრიქსულ პროტეინებს, იწვევს აზოტის ოქსიდის მოხმარებასა და პერფუზიის დარღვევის ხარჯზე უჯრედის დაზიანებას^{44 45}. ექსპერიმენტულ მოდელში, იშემიის შემდგომ, MPO-ს არმქონე თაგვებში დაქვეითებული იყო ლეიკოციტალური ინფილტრაცია, ასევე ქვეითდებოდა მარცხენა პარკუჭის დილატაცია, ძლიერდებოდა პარკუჭის კუმშვადი ფუნქცია და ხდებოდა მიოკარდიუმის რუპტურით გამოწვეული სიკვდილობის შემთხვევათა შემცირება⁴⁶. ამასთან შედარებით, განსხვავება MPO-ს კონცენტრაციათა შორის არ იქნა ნაწიხი იშემიური და არაიშემიური გენების კარდიომიოპათიის მქონე პაციენტთა დახასიათების დროს. ეს ფაქტი ეთანხმება ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც MPO-ს დონე არ მატულობს, როგორც შედეგი კორონარული არტერიების დაზიანებისა (კად)⁴⁷. არამედ მატულობს, როგორც მარცხენა პარკუჭის დისფუნქციის განუყოფელი ნაწილი. კავშირი MPO-სა და კად-ს შორის არის დამოუკიდებელი ანთების სხვა მარკერებისგან, როგორიცაა ლეიკოციტების დონე ან CRP კონცენტრაცია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ MPO-ს კონცენტრაცია არ არის ზოგადი ანთების შედეგი^{48 49}. კვლევები

⁴⁰ Vera B.M. Peters, Friederike Matheis et al. Myeloperoxidase induces monocyte migration and activation after acute myocardial infarction. *Front. Immunol.*, 26 April 2024 Sec. Inflammation Volume 15 - 2024 | <https://doi.org/10.3389/fimmu.2024.1360700>

⁴¹ Zeller MWG, Wang C, Keliher EJ, Wojtkiewicz GR, Aguirre A, Maresca K, Su C, Buckbinder L, Wang J, Nahrendorf M, Chen JW. Myeloperoxidase PET Imaging Tracks Intracellular and Extracellular Treatment Changes in Experimental Myocardial Infarction. *Int J Mol Sci.* 2023 Mar 16;24(6):5704

⁴² Lugin J., Parapanov, R., Milano, G. et al. The systemic deletion of interleukin-1 α reduces myocardial inflammation and attenuates ventricular remodeling in murine myocardial infarction. *Sci Rep* 13, 4006 (2023)

⁴³ Lee, W.E.; Genetzakis, E.; Barsha, G.; Vescovi, J.; Mifsud, C.; Vernon, S.T.; Nguyen, T.V.; Gray, M.P.; Grieve, S.M.; Figtree, G.A. Expression of Myeloperoxidase in Patient-Derived Endothelial Colony-Forming Cells—Associations with Coronary Artery Disease and Mitochondrial Function. *Biomolecules* 2024, 14, 1308.

⁴⁴ Baldus S, Heitzer T, Eiserich JP, et al. “Myeloperoxidase enhances nitric oxide catabolism during myocardial ischemia and reperfusion.” *Free Radic Biol Med.*, 2004; 37(6):902–911

⁴⁵ Sinning C, Schnabel R, Peacock WF. “Up-and-coming markers: myeloperoxidase, a novel biomarker test for heart failure and acute coronary syndrome application?” *Congest Heart Fail.*, 2008 Jul-Aug;14(4 Suppl 1):46-8

⁴⁶ Askari AT, Brennan ML, Zhou X, et al. “Myeloperoxidase and plasminogen activator inhibitor 1 play a central role in ventricular remodeling after myocardial infarction. " *Exp Med.*, 2003; 197(5): 615–624

⁴⁷ Baldus S, Rudolph V, Roiss M, et al. “Heparins increase endothelial nitric oxide bioavailability by liberating vessel- immobilized myeloperoxidase. " *Circulation*, 2006; 113(15):1871–1878

⁴⁸ Scharnagl H, Kleber ME, Genser B, Kickmaier S, Renner W, Weihrauch G, Grammer T, Rossmann C, Winkelmann BR, Boehm BO, Sattler W, März W, Malle E. Association of myeloperoxidase with total and cardiovascular mortality in individuals undergoing coronary angiography--the LURIC study. *Int J Cardiol.* 2014 Jun 1;174(1):96-105. doi: 10.1016/j.ijcard.2014.03.168. Epub 2014 Apr 3. PMID: 24746542; PMCID: PMC4045190

⁴⁹ Scharnagl H, Kleber ME, Genser B, Kickmaier S, Renner W, Weihrauch G, Grammer T, Rossmann C, Winkelmann BR, Boehm BO, Sattler W, März W, Malle E. Association of myeloperoxidase with total and cardiovascular mortality

**“ახალი ბიოლოგიური მარკერების კვლევის ეროვნული პლათფორმა გულის
უკმარისობის პროგნოზის ოპტიმიზაციისათვის”
პროექტის I პერიოდის შუალედური ანგარიში - 2024**



აჩვენებს რომ, MPO და MPO-დან მიღებული ოქსიდანტები ხელს უწყობენ ენდოთელიუმის დისფუნქციას და აპოპტოზს, ლატენტური მატრიქსის მეტალოპროტეინაზების გააქტიურებას და ქსოვილოვანი ფაქტორის აქტივაცია, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ათეროსკლეროზული ფოლაქის განვითარებას. ამგვარად MPO-ს რაოდენობრივი განსაზღვრა გახდა მნიშვნელოვანი მარკერი გულისხმადრღვთა რისკის შეფასებისთვის: დაავადების მიმდინარეობის და ათეროსკლეროზული ფოლაქის მდგრადობის შეფასებისთვის⁵⁰.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში კვლევით მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით დაყრდნობით ნანახ იქნა კავშირი MPO-ს გაზრდილ დონესა და მარცხენა პარკუჭის დისფუნქციას შორის, რაც ექოკარდიოსკოპიულად იქნა შეფასებული⁵¹. MPO-ს დონე მატულობდა გუ-ით პაციენტებში რესტრიქციული ცვლილებების დროს⁵². ასევე MPO-ს დონე მომატებული იყო გულის ქრონიკული სისტოლური უკმარისობის დროს ჯანმრთელ პოპულაციასთან შედარებით. მისი დონე პირდაპირ კავშირში იყო გუ-ის ფუნქციურ კლასთან.

იმის მიუხედავად შენახულია თუ არა სისტოლური ფუნქცია, რისკ ფაქტორების ადრეული აღმოჩენა მნიშვნელოვანია გულის უკმარისობის განვითარების დროული პრევენციისა და ადეკვატური მკურნალობისათვის⁵³, რაც ასევე გულისხმობს ეტიოლოგიურ მკურნალობასაც. ბოლო ათწლეულების კვლევებმა, რომელიც შეეხებოდა გულის კუმშვადობის დარღვევებს, აჩვენა, რომ მიოკარდიუმის მუშაობა დამოკიდებულია მარცხენა პარკუჭს დიასტოლურ ფუნქციაზე, რომელიც თავის მხრივ კავშირშია გულის კუნთის რელაქსაციის შესაძლებლობასთან^{54 55 56}.

in individuals undergoing coronary angiography--the LURIC study. *Int J Cardiol.* 2014 Jun 1;174(1):96-105. doi: 10.1016/j.ijcard.2014.03.168. Epub 2014 Apr 3. PMID: 24746542; PMCID: PMC4045190

⁵⁰ Teng, N., Maghzal, G. J., Talib, J., Rashid, I., Lau, A. K., & Stocker, R. (2016). The roles of myeloperoxidase in coronary artery disease and its potential implication in plaque rupture. *Redox Report*, 22(2), 51–73

⁵¹ Sibille Lejeune, Audrey Ginion, Nassiba Menghoum, David Vancraeynest, Agnes Pasquet, Bernhard L. Gerber, Sandrine Horman, Christophe Beauloye, Anne-Catherine Pouleur. Association of Plasma Myeloperoxidase with Inflammation and Diabetic status in HFpEF. *Rev. Cardiovasc. Med.* 2023, 24(2), 56

⁵² Tang W.H, Tong W, Troughton R.W. & quote; Prognostic Value and Echocardiographic Determinants of Plasma Myeloperoxidase Levels in Chronic Heart Failure. & quote; *Journal of the American College of Cardiology.* Vol. 49, No. 24 .2007

⁵³ Maxwell Quinn, Richard Y. K. Zhang, Idris Bello at all. Myeloperoxidase as a Promising Therapeutic Target after Myocardial Infarction. *Antioxidants* 2024, 13, 788

⁵⁴ Coculescu B.I, Dinc G.V. & quote; Myeloperoxidase, a possible biomarker for the early diagnosis of cardiac diastolic dysfunction with preserved ejection fraction. & quote; *Journal of enzyme inhibition and medicinal chemistry*, 2018, vol. 33. no. 1, 1292–1298

⁵⁵ Manole G. *Clinical physiology.* Vol. 2. Bucharest (Romania): National Company Printers, Coresi S.A. Publishing; 2007

⁵⁶ Villars PS, Hamlin SK, Shaw AD, Kanusky JT. & quote; Role of diastole in left ventricular function, I: biochemical and biomechanical events.& quote; *Am J Crit Care* , 2004; 13:394–403.

**“ახალი ბიოლოგიური მარკერების კვლევის ეროვნული პლათფორმა გულის
უკმარისობის პროგნოზის ოპტიმიზაციისათვის”**

პროექტის I პერიოდის შუალედური ანგარიში - 2024



პაციენტებს გუ-ით, რომელთაც აქვთ შენახული განდევნის ფრაქცია ან განდევნის ფრაქცია მცირედაა დაქვეითებული მკურნალობაში შეზღუდვები. თანამედროვე მეთოდები, რომელიც მიმართულია ანთების საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებაზე შეიძლება თამშობდეს მნიშვნელოვან როლს ზ/ა ჯგუფის პაციენტებში.

BNP და გულის ქრონიკული უკმარისობა

გქუ-ს კლინიკური სიმძიმის შეფასება, ხშირად არ კორელირებს მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის მაჩვენებელსა და პროგნოზული მარკერების დონესთან, როგორიცაა გალექტინ-3, ფიბრობლასტების ზრდის ფაქტორი-15 და ტვინის ნატრიურეზული პეპტიდის (NT-pro) N-ტერმინალური ფრაგმენტი (N-terminal prohormone - NT-pro)^{57 58}.

ნატრიურეზული პეპტიდების სისტემა შეიცავს პოლიპეპტიდურ ჰორმონებს, რომელიც გამომუშავდება მიოკარდიუმის უჯრედების მიერ. გულის ენდოკრინული ფუნქცია 1964 წლიდანაა აღიარებული, მაშინ როცა ნატრიურეზული პეპტიდის საბოლოო, დეტალური დახასიათება პირველად გამოქვეყნდა გაცილებით გვიან⁵⁹. ეს მოლეკულები ავლენენ ფლეოტრობულ ეფექტებს და მისი შესწავლა კვლავაც გრძელდება, განსაკუთრებით მის კლინიკური, პროგნოზული და პრედიქტორული მნიშვნელობა.

NPs შორის შეიძლება გამოვყოთ წინაგულოვანი ნატრიურეზული პეპტიდი (ANP) და B ტიპის ნატრიურეზული პეპტიდი (BNP), რომელიც უპირატესად სინთეზირდება წინაგულოვან კარდიომიოციტებში და შესაბამისად პარკუჭების კარდიომიოციტებში, ასევე სხვა ექსტრაკარდიალურ საიტებში, მათ შორის ტვინში (პირველი ლოკაციაა, სადაც იდენტიფიცირებული იქნა BNP, სახელწოდებაც ამიტომ მას უკავშირდება)., გონადებში და თირკმლებში. ორივე პეპტიდი გამონთავისუფლდება გულის კედლისმიერ სტრესზე, გამოწვეული ვოლემიური გაფართოებაზე, რასაც მივყავართ წნევის ზრდაზე გულის ავსების დროს. ProANP არის წინამორბედი ANP-ის და ძირითადად არის წინაგულების კარდიომიოციტებისშიგნით, სეკრეტორულ გრანულებში. ProANP-ის სისხლისშიმოქცევაში მოხვედრის შემდეგ ProANP იყოფა წინაგულოვანი პროტეაზული ფერმენტების ზემოქმედებით, წარმოიქმნება NT-proANP და ANP, ეს უკანასკნელი შედგება 28 ამინომჟავისგან. BNP პირველ რიგში გამონთავისუფლდება პარკუჭების მიოკარდიალური უჯრედებიდან პრეკურსორული ფორმით - pro BNP. ეს უკანასკნელი იყოფა პროტეალიზური ფერმენტით და მიიღება BNP, რომელიც თავის მხრივ შედგება 32 ამინომჟავისგან და N-

⁵⁷ Jarolim P. Overview of cardiac markers in heart disease. Clin. Lab. Med. 2014 May; 34 (1). p. 1–14.

⁵⁸ Yin QS, Shi B, Dong L, Bi L. Comparative study of galectin-3 and B-type natriuretic peptide as biomarkers for the diagnosis of heart failure. J. Geriatr. Cardiol. 2014 may; 11(1). p. 79–82

⁵⁹ Jamieson, J.D.; Palade, G.E. Specific granules in atrial muscle cells. J. Cell Biol. 1964, 23, 151–172

**“ახალი ბიოლოგიური მარკერების კვლევის ეროვნული პლათფორმა გულის
უკმარისობის პროგნოზის ოპტიმიზაციისათვის”**

პროექტის I პერიოდის შუალედური ანგარიში - 2024



ტერმინალურ არააქტიურ მონაკვეთზე NT-proBNP. BNP-ის აქვს უფრო ხანგრძლივი ნახევრადდაშლის პერიოდი, ვიდრე ANP-ს., რომელიც დაახლოებით შეადგენს 20 წუთს⁶⁰.

BNP და ANP თავის მოქმედებს ახდენს ორი განსხვავებული რეცეპტორთან კავშირით: ნატრიურეზული პეპტიდის რეცეპტორი A (NPRA) და ნატრიურეზული პეპტიდის რეცეპტორი B (NPRB), მათგან ორივე წარმოადგენს ტრანსმემბრანულ გუანილატიკლასას. ნატრიურეზულ პეპტიდთან დაკავშირების შემდეგ NPRA და NPRB აქტივირდება, რომელსაც მიყვავართ ციკლური გუანოზამინოფოსფატის (cGMP) უჯრედში და ღონის მომატება. cGMP ითვლება ძირითად მეორად მესენჯერად, რომელიც პასუხისმგებელია უმრავლეს ფიზიოლოგიურ ეფექტებზე. NPRC - არის მესამე რეცეპტორი ნატრიურეზული პეპტიდის, რომელიც ანალოგიურია NPRA და NPRB-ის მის უჯრედგარე დომენში, მაგრამ არ აქვს საკუთარი ფერმენტული აქტივობა, რომელიც უზრუნველყოფს მის მონაწილეობას ნატრიურეზული პეპტიდის კლირენში. ნატრიურეზული პეპტიდი ავლენს სხვადასხვა ფიზიოლოგიურ ეფექტებს, რომელიც დამოკიდებულია მის სპეციფიურ მსგავსებასთან NPRA და NPRB-თან. ნატრიურეზული პეპტიდი გავლენას ახდენს ენდოთელიუმზე, რომელიც თრგუნავს ენდოთელიუმის სეკრეციას და აქტივაციას უკეთებს რიგირე პერიფერიულ, ასევე ვენტრალურ ნერვულ სისტემას. ნატრიურეზული პეპტიდის საერთო ეფექტები მოიცავს ნატრიურეზის და დიურეზის გაძლიერებას, არტერიული წნევის დაქვეითებას, ანტიაპოპტოზურ და ანტიფიბროზულ მოქმედებას, რომელიც იცავს გულის კუნთს რემოდელირებისგან, შემდგომი გულის უკმარისობის განვითარებით; ასევე სისტემური ვაზოკონსტრუქციის შემცირება და გულსისხლძარღვთა სისტემის სიმპტომური სტიმულაციის შესუსტება⁶¹.

ჯანმრთელ პირებში BNP და ANP (წინაგულოვანი ნატრიურეზული პეპტიდი) მოლეკულების თანაფარდობა შეადგენს დაახლოებით ერთს. მაშინ როცა გულის უკმარისობით პაციენტებში მათი თანაფარდობა მნიშვნელოვნად მომატებულია⁶².

შესაბამისად BNP აქვს უფრო მაღალი მგრძნობელობა და დიაგნოსტიკური სიზუსტე ვიდრე ANP-ს. რაც შეეხება პეპტიდებს, რომელიც მიღებულია proBNP-დან, ჯანმრთელ პირებში BNP და proBNP-ის მნიშვნელობები მსგავსია. ამჟამად BNP და N-ტერმინალური proBNP (NT-proBNP) ფართოდ გამოიყენება, როგორც გულის უკმარისობის და გულის დისფუნქციის დიაგნოსტიკური ბიომარკერები⁶³. ორივე ბიომარკერი ასევე ფართოდ გამოიყენება

⁶⁰ Della Corte, V.; Pacinella, G.; Todaro, F.; Pecoraro, R.; Tuttolomondo, A. The Natriuretic Peptide System: A Single Entity, Pleiotropic Effects. *Int. J. Mol. Sci.* 2023, 24, 9642

⁶¹ McGrath, M.F.; Kuroski De Bold, M.L.; De Bold, A.J. The endocrine function of the heart. *Trends Endocrinol. Metab.* 2005, 16, 469–477

⁶² Clerico, A. Pathophysiological and clinical relevance of circulating levels of cardiac natriuretic hormones: Are they merely markers of cardiac disease? *Clin. Chem. Lab. Med.* 2002, 40, 752–760

⁶³ Cao Z, Jia Y, Zhu B. BNP and NT-proBNP as Diagnostic Biomarkers for Cardiac Dysfunction in Both Clinical and Forensic Medicine. *Int J Mol Sci.* 2019 Apr 12; 20(8):1820



**“ახალი ბიოლოგიური მარკერების კვლევის ეროვნული პლათფორმა გულის
უკმარისობის პროგნოზის ოპტიმიზაციისათვის”
პროექტის I პერიოდის შუალედური ანგარიში - 2024**

